

**იმერეთის ზოგიერთი რაიონის ალგოლოგიის შესწავლისათვის  
(Chlorophyta, Xanthophyta, Eugleniophyta)**

**ღალი კუხალეიშვილი**

(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი)

**რეზიუმე:** 2014–2018 წლებში შეისწავლეს იმერეთის ზოგიერთი რაიონის წყალმცენარეები. ამ მიზნით ალგოლოგიური ნიმუშები შეგროვდა ქ. ქუთაისში, აგრეთვე წყალტუბოს, თერჯოლის, ტყიბულის, ხონისა და ჭიათურის რაიონებში შემავალი ზოგიერთი სოფლის სანახებში არსებული წყალსატევებიდან. აღნიშნული ტერიტორიებიდან მოპოვებული მასალების დამუშავების შედეგად გამოვლინდა წყალმცენარეთა სხვადასხვა ჯგუფი, რომელთაგან მოცემულ ნაშრომში განხილულია მწვანე (Chlorophyta), ყვითელმწვანე (Xanthophyta) და ევგლენოფიტოვანი (Euglenophyta) წყალმცენარეები. მათი საერთო რაოდენობა 37 სახეობასა და სახეობის შიგა ტაქსონს შეადგენს. ისინი გაერთიანებულია 6 კლასის 11 რიგსა და 20 გვარში. 28 ტაქსონი პირველადაა მითითებული საკვლევი რაიონისათვის. ისინი წყალმცენარეთა ჩამონათვალში ვარსკვლავითაა აღნიშნული. მათ შორის 3 ახალია საქართველის ალგოლოგიისათვის, რომლებიც ცალკე ნაშრომში იქნება განხილული.

**საკვანძო სიტყვები:** გვარი; კლასი; რიგი; ტაქსონი; წყალმცენარე.

**შესავალი**

2014–2018 წლებში ვსწავლობდით იმერეთის ზოგიერთი რაიონის წყალმცენარეებს. ალგოლოგიური ნიმუშები შევაგროვეთ ქ. ქუთაისში, ასევე თერჯოლის, წყალტუბოს, ტყიბულის, ხონისა და ჭიათურის რაიონების ზოგიერთი სოფლის მიდამოებში არსებული სხვადასხვაგვარი წყალსატევიდან.

ალგოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ლ. კუხალეიშვილის შრომები [1, 9], რომლებშიც მოიპოვება ცნობები საკვლევი რაიონის მწვანე და ყვითელმწვანე წყალმცენარეთა შესახებ.

**ძირითადი ნაწილი**

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აღნიშნულ ტერიტორიებზე მოპოვებული ალგოლოგიური მასალის დამუშავების შედეგად გამოვლენილი მწვანე (Chlorophyta), ყვითელმწვანე (Xanthophyta) და ევგლენოფიტოვანი (Euglenophyta) წყალმცენარეები. ამ განყოფილებებიდან სულ გამოვლინდა 37 სახეობა და სახეობის შიგა ტაქსონი. მათ გასარკვევად გამოვიყენეთ საბჭოთა კავშირის მტკნარი წყლების წყალმცენარეთა სარკვევები [4–6,10–12]; აგრეთვე

ზ. ვეტროვას უკრაინის კონტინენტალური წყლების წყალმცენარეთა ფლორა [2, 3]; ლ. რუნდინას უკრაინის მტკნარი წყლების წყალმცენარეთა სარკვევი [13], პ. ცარენკოს უკრაინის ქლოროკოკოვან წყალმცენარეთა მოკლე სარკვევი [14] და ე. კოსინსკაიას საბჭოთა კავშირის სპოროვან მცენარეთა ფლორა [8]. მოცემულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი წყალმცენარეების სისტემატიკისათვის დაეხმარეთ ჟურნალი «Альгология» [7].

ზემოთ ჩამოთვლილი განყოფილებებიდან გამოვლენილი 37 წყალმცენარე გაერთიანებულია 6 კლასის 11 რიგსა და 20 გვარში, რომელთა შორის სახეობათა სიმრავლით ლიდერობს მწვანე წყალმცენარეთა განყოფილება (Chlorophyta). იგი 27 სახეობასა და სახეობის შიგა ტაქსონს აერთიანებს. ისინი განაწილებული არიან 3 კლასში შემავალ 7 რიგსა და 14 გვარში. მათ შორის შედარებით მრავალრიცხოვანია Zygnematomyceae-ს კლასი, რომელსაც 13 წარმომადგენელი მიეკუთვნება. მეორე კლასი – Ulvophyceae – 9 სახეობას აერთიანებს, ხოლო მესამე კლასი – Chlorophyceae – 5 სახეობას მოიცავს.

Zygnematomyceae-ს კლასში ორი რიგია – Desmidiaceae და Zygnematales. პირველ რიგზე (Desmidiaceae) 6 წარმომადგენელი მოდის; აქედან ოთხია *Cosmarium*-ის გვარიდან, ორი კი – *Closterium*-ის გვარს ეკუთვნის. ისინი მხოლოდ თითო ადგილსამყოფლიდან აღინიშნენ უმნიშვნელო რაოდენობით. ხოლო მეორე – Zygnematales რიგი – სამი გვარითაა წარმოდგენილი. ესენია: *Spirogyra*, *Zygnema*, *Mougeotia*. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობის სახეობამდე იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა, რადგან მასალის უდიდესი ნაწილი დაფიქსირებული აღმოჩნდა სტერილურ მდგომარეობაში. ისინი, განსაკუთრებით გვარები *Spirogyra* და *Mougeotia* – მასობრივადაა განვითარებული და მთელ საკვლევ ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 3 სახეობის დადგენა *Spirogyra*-ს გვარიდან, რომლებიც თითო ადგილსამყოფლიდან საკმაოდ უხვად აღინიშნა.

Ulvophyceae-ს კლასიც მოცემულ რაიონში ორი რიგითაა წარმოდგენილი: Ulvotrichales, რომელიც 7 სახეობას აერთიანებს, და Cladophorales – 2 სახეობით. ისინი ერთი, იშვიათად ორი ადგილიდან აღინიშნენ, ძირითადად უმნიშვნელო რაოდენობით. გამონაკლისი იყო *Rhizoclonium hieroglyphicum* (Agardh) Kütz., რომელიც რამდენჯერმე შეგვხვდა, ამასთან, საკმაოდ მრავლად, ზოგჯერ მასობრივადაც, და *Ulothrix oscillarina* Kütz., რომელიც ასევე დიდი რაოდენობით აღინიშნა.

რაც შეეხება ამ განყოფილების მესამე კლასს – Chlorophyceae-ს, იგი სულ 5 სახეობას მოიცავს. 3 მათგანი Chlorococcales რიგიდანაა; თითო-თითო სახეობა კი – Oedogoniales და Volvocales რიგებიდან. მათგან მხოლოდ გვარ *Oedogonium*-ის სტერილური ძაფები გვხვდებოდა ხშირად, მაგრამ უკიდურესად მცირე რაოდენობით. გვარ *Scenedesmus*-ის (Chlorococcales რიგი) ორ სახეობას ორ ადგილას მივაკვლიეთ დიდძალი რაოდენობით. ხოლო გვარების *Coenochloris* (რიგი Chlorococcales) და *Pandorina*-ს (რიგი Volvocales) წარმომადგენლები ერთეული ეგზემპლარების სახით აღინიშნა.

ევგლენოფიტოვანთა (Euglenophyta) განყოფილება საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძალიან სუსტად. ამ განყოფილებიდან გამოვლენილი 6 სახეობა და სახეობის შიგა ტაქსონი ორ კლასს შორის არათანაბრადაა განაწილებული. ერთი სახეობა მიეკუთვნება Chloromonadales რიგს (კლასი Chloromonadinaceae), ხუთი მათგანი კი გაერთიანებულია Euglenales რიგის (კლასი Euglenophyceae) 3 გვარში. მათგან გვარები *Euglena* და *Phacus* მოიცავს ორ-ორ წარმომადგენელს; გვარი *Trachelomonas* კი – ერთ სახეობას. ისინი მცირე რაოდენობით ბინადრობენ საკვლევ ტერიტორიაზე არსებულ ხელოვნურ აუზებსა და ტბებში, მათ შორის „პრომეთეს“ მდვიმის გამოსასვლელში მდებარე ტბაშიც, რომლის ნაწილი მდვიმის გარეთ მდებარეობს; იგულისხმება სწორედ ტბის ამ მონაკვეთში გამოვლენილი წყალმცენარეები.

ასევე მცირერიცხოვანი აღმოჩნდა ყვითელმწვანე წყალმცენარეთა (Xanthophyta) განყოფილება. მასში შემავალი 4 სახეობა Xantophyceae-ს კლასის ორი რიგიდანაა. 3 ეკუთვნის Tribonematales რიგს, რომლებიც თითო ადგილსამყოფლიდან აღინიშნენ უმნიშვნელო რაოდენობით, და ერთი – Vaucheriales რიგს. ამ უკანასკნელის სტერილური ეგზემპლარები შედარებით ხშირად და დიდი რაოდენობით, ზოგჯერ მასობრივადაც გვხვდებოდა.

ზემოთ განხილული განყოფილებებიდან გამოვლენილი 37 წარმომადგენლიდან, 28 პირველად მივუთითეთ საკვლევი რაიონისათვის. აქ მოცემულ წყალმცენარეთა ჩამონათვალში ისინი ვარსკვლავითაა აღნიშნული. მათ შორის 3 ახალია საქართველის ალგოფლორისათვის, რომლებსაც ცალკე ნაშრომში განვიხილავთ.

ქვემოთ წარმოდგენილია საკვლევი ტერიტორიაზე აღმოჩენილი წყალმცენარეების სია განყოფილებების მიხედვით. განყოფილებებში წყალმცენარეთა გვარები და გვარებში სახეობები ანბანის მიხედვითაა დალაგებული. ტაქსონთა ავტორების გვარები მოცემულია პ. ცარენკოს მიერ მითებული უნიფიკაციით [15].

### **Chlorophyta**

*Cladophora glomerata* (L.) Kütz. – თერჯოლის რაიონი, სოფ. გოდოგანი, დელეში, ქვებზე; ტყიბულის რაიონი. სოფ. ცუცხვათის მიდამოები, ცუცხვათის მღვიმესთან, მდ. შაბათა დელეში (მარცხენა ნაპირზე), ქვებზე და ლოდებზე;

\**Closterium acerosum* (Schrank) Ehrenb. f. *acerosum* – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან, რიონის მარჯვენა მხარეს, გუბეში;

\**Cl. acerosum* (Schrank) Ehrenb. f. *minus* (Hantzsch.) Kossinsk. – იქვე;

*Cosmarium botrytis* Menegh. – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, მცირე ზომის ხელოვნურ აუზში;

\**C. pseudopyramidatum* Lund. – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღთან, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, გუბეში;

\**C. rectangulare* Grunow – თერჯოლის რაიონი. გოდოგანის ხიდთან, მდ. წყალწითელაში (მარჯვენა ნაპირზე), ქვებზე;

\**C. undulatum* Corda – კურორტი წყალტუბო, ცივის ტბაში, ნაპირთან, ბალახოვან მცენარეთა შორის;

\**Microspora quadrata* Hazen – იქვე და სოფ. კინჩხის მიდამოებში (ხონის რაიონი), ხიდთან (ვიზიტორების სახლთან), უსახელო დელეში, ქვებზე და ხის მორზე;

\**M. stagnorum* (Kütz.) Lagerheim – წყალტუბოს რაიონი. სათაფლიის ნაკრძალში, სველ ქვებზე;

\**M. tumidula* Hazen – წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებზე;

*Mougeotia* sp. – წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებსა და რკინის საგნებზე; კურორტ წყალტუბოში ცივის ტბაში, ნაპირთან; ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში მდებარე მცირე ზომის ხელოვნურ აუზში; ხონის რაიონი. სოფ. გორდის მიდამოებში, ოკაცეს კანიონთან, ნაკადულში, ქვებზე;

*Oedogonium* sp. – წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, მდ. ყუმში, ქვებზე, „პრომეთეს“ მღვიმესთან; კურორტ წყალტუბოში ცივის ტბაში, ნაპირთან, ბალახებს შორის; ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელთან მდებარე ხელოვნურ აუზში ბეტონის კედლებსა და რკინის მილზე; ხონის რაიონი. სოფ. გორდის მიდამოებში, ოკაცეს კანიონთან, ნაკადულში, ქვებზე;

*Pandorina morum* (Müll.) Bory – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელთან მდებარე ხელოვნურ აუზში;

*Rhizoclonium hieroglyphicum* (Agardh) Kütz. – კურორტ წყალტუბოში ცივის ტბაში, ნაპირთან და წყალტუბოს პარკის გვერდით ხელოვნურ არხში; წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავი. „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებზე; სოფ. ყუმისთავის მიდამოებში, ღლიანის მღვიმეში, გამდინარე წყალში, ქვებზე;

\**Scenedesmus ellipticus* Corda – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელთან მდებარე ხელოვნურ აუზში, ბეტონის კედლებსა და რკინის მილზე, აგრეთვე აუზის პლანქტონში;

\**S.sp.* – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, შესასვლელთან მდებარე ხელოვნური აუზის პლანქტონში;

\**Spirogyra decimina* (Müll.) Kütz. – წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში; მდ. ყუმში, ქვებზე, „პრომეთეს“ მღვიმესთან;

\**S. fluviatilis* Hilse – კურორტ წყალტუბოს მიდამოები, გზატკეცილის მახლობლად, საქონლის შარდით დაბინძურებულ ჭაობიანში;

*S. sp.* – ვეგეტატიური უჯრედების სიგრძე 36 – 90 მკმ-ია, სიგანე 20.8 – 25 მკმ.; უჯრედებში ერთი სპირალური ქრომატოფორია.

კურორტ წყალტუბოში და მის მიდამოებში, ცივის ტბაში, ნაპირთან და გზატკეცილის მახლობლად, საქონლის შარდით დაბინძურებულ ჭაობიანში; წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავი. „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებზე და რკინის საგნებზე; მდ. ყუმში, ქვებზე, „პრომეთეს“ მღვიმესთან; სოფ. ყუმისთავის მიდამოებში, ღლიანის მღვიმეში, გამდინარე წყალში, ქვებზე; ხონის რაიონი, სოფ. გორდის მიდამოებში, ოკაცეს კანიონთან, ნაკადულებში, ქვებზე;

\**S. sp.* – ვეგეტატიური უჯრედების სიგრძე 118.4 – 252 მკმ-ია, სიგანე – 30.4 – 49 მკმ. უჯრედებში ორი სპირალური ქრომატოფორია. კურორტ წყალტუბოში, ცივის ტბაში, ნაპირთან; წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებზე და რკინის საგნებზე; მდ. ყუმში, ქვებზე, „პრომეთეს“ მღვიმესთან;

*Stigeoclonium tenue* (Agardh) Kütz. – ტყიბულის რაიონი. სოფ. გელათის მიდამოებში, მდ. წყალწითელაში, ქვებზე;

*Ulothrix oscillatorina* Kütz. – წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასვლელში არსებულ ტბაში, ქვებზე და რკინის საგნებზე;

\**Ul. variabilis* Kütz. – იქვე;

\**Ul. zonata* (Weber et Mohr) Kütz. – იქვე;

\**Zygnema sp.* – იქვე და კურორტ წყალტუბოში ცივის ტბაში, ნაპირთან; წყალტუბოს რაიონი, სოფ. ყუმისთავი, მდ. ყუმში, ქვებზე, „პრომეთეს“ მღვიმესთან; ხონის რაიონი, სოფ. გორდის მიდამოებში, ოკაცეს კანიონთან, ნაკადულში, ქვებზე.

### **Xanthophyta**

\**Tribonema sp.* – ქ. ქუთაისი. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, მცირე ზომის ხელოვნურ აუზში; წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავის მიდამოებში, ღლიანის მღვიმეში, გამდინარე წყალში, ქვებზე;

\**T. subtilissimum* Pascher – კურორტი წყალტუბო. ცივის ტბაში, ნაპირთან;

\**T. vulgare* Pascher – ხონის რაიონი. სოფ. კინჩხის მიდამოები, უსახელო ღელეში, ქვებზე და ხის მორზე, ხიდთან (ვიზიტორების სახლთან);

\**Vaucheria sp.* – თერჯოლის რაიონი. გოდოგნის ხიდთან, მდ. წყალწითელაში (მარჯვენა ნაპირზე), ქვებზე; წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავის მიდამოებში, ღლიანის მღვიმეში, გამდინარე წყალში, ქვებზე.

## **Euglenophyta**

\**Euglena acus* Ehrenb. – ქ. ქუთაისი, ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, შესასველეთან მდებარე ხელოვნური აუზში;

\**Euglena longissima* Deflandre – იქვე;

\**Phacus pleuronectes* (Ehrenb.) Dujard var. *pleuronectes* – კურორტი წყალტუბო. ცივის ტბაში, ნაპირთან;

\**Ph. pleuronectes* (Ehrenb.) Dujard var. *hamelii* (Allmam et Lefevre) Popova – იქვე;

\**Trachelomonas volvocina* Ehrenb. – წყალტუბოს რაიონი. სოფ. ყუმისთავი, „პრომეთეს“ მღვიმის გამოსასველში არსებულ ტბაში, პლანქტონი; კურორტ წყალტუბოს მიდამოები, გზატკეცილის მახლობლად, საქონლის შარდით დაბინძურებულ დაჭაობებულში.

## **დასკვნა**

ამრიგად, 2014–2018 წლებში იმერეთის ზოგიერთი რაიონის, კერძოდ ქ. ქუთაისის, აგრეთვე წყალტუბოს, თერჯოლის, ხონისა და ჭიათურის რაიონებში შემაჯავლი ზოგიერთი სოფლის სანახებში არსებული წყალსატევების ალგოფლორის კვლევისას გამოვლინდა 37 სახეობა და სახეობის შიგა ტაქსონი წყალმცენარეთა სხვადასხვა ჯგუფიდან (Chlorophyta, Xathophyta, Eugleniophyta). მათგან 28 პირველად აღინიშნა საკვლევი რაიონისათვის, რომელთა შორის 3 ახალია საქართველის ალგოფლორისათვის. კვლევის შედეგებს გარკვეული მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. კუხალეიშვილი. ქუთაისისა და მისი შემოგარენის ალგოფლორის შესახებ//მეცნიერება და ტექნოლოგიები, №10-12, 2000, გვ. 64-67.
2. Ветрова З. И. Флора водорослей континентальных водоемов Украинской ССР (Эвгленофитовые водоросли). Киев: Наукова думка, вып.1, ч.1, 1986. - 347 с.
3. Ветрова З. И. Флора водорослей континентальных водоемов Украины//Эвгленофитовые водоросли. Вып. 2, Киев, 2004. - 272 с.
4. Виноградова К. Л., Голлербах М.М., Зауер Л.М., Сдобникова Н.В. Определитель пресноводных водорослей СССР (Зеленые водоросли). Вып.13. Л.: Наука, 1980. - 248 с.
5. Дедусенко-Щеголева Н.Т., Голлербах М.М. Определитель пресноводных водорослей СССР (Желтозеленые водоросли). Вып. 5., М.-Л.: Изд. АН СССР, 1962. - 272 с.
6. Дедусенко-Щеголева Н.Т., Матвиенко А.М., Шкорбатов Л.А. Определитель пресноводных водорослей СССР (Зеленые водоросли). Вып. 8, М.- Л.: Изд. АН СССР, 1959. - 230 с.
7. Жур. «Альгология». Т. 10, № 4, 2000, с. 50-267.
8. Косинская Е.К. Флора споровых растений СССР. Т. V, вып. 1, М.- Л., 1960.- 706 с.
9. Кухалеишвили Л.К. О водорослях заповедника Сатаплиа. Заповедники Грузии, Тб.: Мецниереба, YI, 1987, с. 48 -53.
10. Мошкова Н.А., Голлербах М.М. Определитель пресноводных водорослей СССР (Зеленые водоросли). Вып. 10 (1). М.: Наука, 1986. - 360 с.
11. Паламарь-Мордвинцева Г. М. Определитель пресноводных водорослей СССР (Зеленые водоросли). Вып. 11 (2), Л.: Наука, 1982. - 620 с.

12. Попова Т. Г. Определитель пресноводных водорослей СССР (Эвгленовые водоросли). Вып. 7. М.: Советская наука, 1955. - 282 с.
13. Рундина Л.О. Визначник прісноводних водоростей Української РСР (Зигнемові). Вип. У111, ч. 3, Київ: Наукова думка, 1988. - 202 с.
14. Царенко П.М. Краткий определитель хлорококковых водорослей Украинской ССР. Киев: Наукова думка, 1990. - 207 с.
15. Царенко П.М. Рекомендации по унификации цитирования фамилии авторов таксонов водорослей//Альгология, т. 20, №1, Киев, 2010, с. 87-120.

### FOR RESEARCH OF THE ALGAL FLORA OF SOME REGIONS OF IMERETI (Chlorophyta, Xanthophyta, Euglenophyta)

**Lali Kukhaleishvili**

(Ilia State University Institute of Botany)

**Resume:** There were studied algae of some regions of Imereti in 2014-2018. Experimental samples were collected from water reservoirs of some villages of Kutaisi, Tskaltubo, Terjola, Tkibuli, Khoni and Chiatura. Different groups of algae were revealed after processing the tested material. Algae from Chlorophyta, Xanthophyta and Euglenophyta divisions are considered in the given work. The total number of the studied species and intra-specific taxa is 37. They belong to 6 classes, 11 orders and 20 genera. Twenty-eight taxa are recorded for the first time for the study region. They are marked with asterisk in the species list. 3 of them are new for Georgian algal flora and they will be covered separately in a special paper.

**Key words:** algae; class; genus; order; taxon.

## АЛЬГОЛОГИЯ

### К ИЗУЧЕНИЮ АЛЬГОФЛОРЫ НЕКОТОРЫХ РАЙОНОВ ИМЕРЕТИИ (Chlorophyta, Xanthophyta, Euglenophyta)

**Кухалеишвили Л.К.**

(Институт ботаники Государственного университета Ильи)

**Резюме.** В 2014 – 2018 гг. были изучены водоросли некоторых районов Имеретии. Альгологические пробы были собраны из различных водоемов, находящихся в г. Кутаиси, а также на территориях некоторых сел, входящих в состав районов Цхалтубо, Терджола, Ткибули, Хони и Чиатура. В результате обработки собранного материала из вышеуказанных районов, выявлены водоросли разных групп, среди которых в настоящей работе рассматриваем отделы зеленых (Chlorophyta), желтозеленых (Xanthophyta) и эвгленофитовых (Euglenophyta) водорослей. Общее число водорослей из этих отделов выявленных нами составляет 37 видов с разновидностями. Они принадлежат к 20 родам 11 порядков из 6 классов. 28 таксонов впервые указаны для исследуемого района. Они в перечне водорослей отмечены звездочкой; 3 из них впервые указываются для альгофлоры Грузии. Им будет посвящена отдельная статья.

**Ключевые слова:** водоросль; класс; порядок; род; таксон.